



ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური  
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

## ბრძანება

N 217  
29/05/2018

### შპს „აუდიტი და კონტროლი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 11 იანვრის N94 ბრძანებით შპს „აუდიტი და კონტროლი“ (ს/ნ N401952856, იურიდიული მისამართი: ვაკე-საბურთალო/დიდმის მასივი კორპ. 1ა. ბ.5,) დარეგისტრირდა აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (SARAS-F-833498) სარეგისტრაციო განაცხადისა (N251650/21-11; 02.12.2016წ) და მასზე დართული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის (N PFL 057/16) თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრებოდა 2016 წლის 11 ნოემბრიდან - 2017 წლის 11 ნოემბრამდე, ხოლო განახლებული დაზღვევის შესახებ დოკუმენტაცია წარმოდგენილია 2018 წლის 19 და 27 თებერვალს, რომლის თანახმადაც სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 2017 წლის 11 ნოემბრიდან - 2018 წლის 11 ნოემბრამდე.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში კანონი) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ უნდა იყოს ასახული ინფორმაცია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითებით.

„აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე დაზღვევის ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანის თაობაზე (მათ შორის, სადაზღვევო თანხის გაზრდის ან შემცირების შესახებ) აცნობოს სამსახურს ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად, სადაზღვევო პოლისი არის მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.

კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურს ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ამავე

კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის IV თავით (რეესტრი) გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით აუდიტორული ფირმა ვალდებული იყო დაზღვევის ხელშეკრულების დადებიდან/განახლებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შეეტყობინებინა სამსახურისთვის, თუმცა შპს „აუდიტი და კონტროლი“ -ს მიერ აღნიშნული ინფორმაცია წარდგენილია ვადის დარღვევით - 2018 წლის 19 და 27 თებერვალს. ზემოაღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-10 პუნქტის, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „აუდიტი და კონტროლი“ დაჯარიმდეს 100 ლარით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს შპს „აუდიტი და კონტროლი“-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6);

იური დოლიძე



სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური